



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 03-01/07

ქ. თბილისი

01.07.2020 წ.

სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „კ“ და „ტ“ ქვეპუნქტების, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე და ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული (სხდომა N6, 25.06.2020წ.) ობსერვატორიის საშტატო განრიგის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი წინამდებარე ბრძანების N1 დანართში განსაზღვრულ სამეცნიერო თანამდებობებზე.
2. კონკურსი დაიწყოს 2020 წლის 1 ივლისს და დასრულდეს 13 აგვისტოს. მათ შორის, საკონკურსო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2020 წლის 2 აგვისტოდან 5 აგვისტოს (24:00 სთ) ჩათვლით.
3. განისაზღვროს:
 - 3.1. შრომითი პირობები სამეცნიერო თანამდებობებისათვის, წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად;
 - 3.2. კონკურსში მონაწილეობის პირობები, წინამდებარე ბრძანების N3 დანართის შესაბამისად.
 - 3.3. კონკურსის წესი, წინამდებარე ბრძანების N4 დანართის შესაბამისად;
4. დაევალოს საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს მზია ბარათელ-ომიამეს კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ობსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.abao.ge, აგრეთვე, ობსერვატორიის თანამშრომელთა ინფორმირება vacancy@abao.ge ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

5. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



რევაზ ჭანიშვილი